



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლა**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამარ კეშელავა

წევრები:

თეა გაბელაია

მზევინარ დარბაისელი

ეკა სიმსივე

გვანცა მოლაშვილი

ლამარა დარახველიძე

დავით ხუციშვილი

ნათია ნაფეტვარიძე

სვეტა გორგიშელი

ქეთევან ცირეკიძე

მიხეილ გაფრინდაშვილი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	223104272

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელი ხიზაბავრა
ფაქტობრივი მისამართი	ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელი ხიზაბავრა
საფოსტო ინდექსი	0500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	khizabavra@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	არ აქვს

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის ბრძანებები-MES 9 24 0000607104 31/05/2024; MES 7 24 0000743895 25/06/2024 " ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის
--	---

	სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 31 მაისის N607104 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2024 წლის 27 ივნისი და 28 ივნისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელი ხიზაბავრა შენობა N1
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელი ხიზაბავრა შენობა N1
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელი ხიზაბავრა შენობა N1

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2024 წლის 27 და 28 ივნისს სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლაში ადგილზე ვიზიტი განხორციელა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე თამარ კეშელავამ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრმა თეა გაბელაიამ და

საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენელმა --. ონაღინ შეხვედრები განახორციელეს საგნობრივმა ექსპერტებმა შემდეგი შემადგენლობით:

- მზევინარი დარბაისელი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ეკა სიმსივე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- გვანცა მოლაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ლამარა დარახველიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- დავით ხუციშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ნათია ნაფეტვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- სვეტა გორგიშელი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ქეთევან ცირეკიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი შეიკრიბა რამდენჯერმე და გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, დანართებად წარმოდგენილ საჭირო მასალებს. განხილვის შემდეგ, ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია, შევათანხმეთ ვიზიტის დღის წესრიგი და გადაეგზავნა ხარისხის ცენტრს. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის სტანდარტებს, მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, მათ შორის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. ექსპერტების მიერ განხორციელდა სკოლის ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობების დადგენა.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები გაესაუბრენ, როგორც სკოლის დირექციის წარმომადგენლებს, ასევე ადმინისტრაციულ პერსონალს.

საგნობრივი ექსპერტების შეხვედრა სკოლის პედაგოგებთან განხორციელდა ონლაინ.

დაწყებითი საფეხურის ექსპერტის მიერ განხორციელდა ვიზიტის დაგეგმვამდე დოკუმენტაციის შესწავლა I-IV კლასებში - ქართული, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება . სამუშაო გულისხმობდა კურიკულუმების შესაბამისობის დადგენას სტანდარტთან მიმართებით, კომპლექსური დავალებების თუ სხვა პროექტული დავალებების გადახედვა, შეფასების რუბრიკებისა და დიაგნოსტიკური სამუშაოების ინსტრუმენტების გაცნობა. აღნიშნულ სკოლასთან არ გამხდარა საჭირო დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნა. ვიზიტის დროს, ყველა საგნობრივ კათედრასთან ერთად ინტერვიუ წარიმართა დაწყებითი საფეხურის ექსპერტთან ერთად გამომდინარე იქედან, რომ დაწყებითი საფეხურის ჯგუფში რამდენიმე საგანი შემოდის (ქართული, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება). დაწყებით საფეხურზე ინტერვიუს პროცესში დასმული შეკითხვები შეეხებოდა: საგნობრივი კურიკულუმების შინაარსობრივ ნაწილს, რა გრძელვადიანი და შუალედური მიზნები ჰქონდათ განსაზღვრული, აქტივობები როგორ მიემართებოდა ამ მიზნებისკენ, რა დიფერენცირებულ და ინკლუზიურ

მიდგომებს იყენებენ მუშაობის პროცესში, როგორ შეიმუშავეს კურიკულუმები, რამდენად ითვალისწინებენ მშობლის, მოსწავლის, ერთმანეთის გამოცდილებას, როგორ მიმდინარეობს მათ სკოლაში ფარული კურიკულუმით მუშაობა, რა ტიპის რესურსებს იყენებენ, შეფასებას როგორ ახორციელებენ, რა ინსტრუმენტები აქვთ, დიაგნოსტიკურ მუშაობას როგორ წარმართავენ, რამდენად ახდენენ კურიკულუმის გადახედვა-განვითარებას. თითოეულ ამ მიმართულებაზე საუბარი დამადასტურებელი დოკუმენტაციების განხილვის პარალელურად მიმდინარეობდა. ინტერვიუს დასრულებისას ექსპერტისგან სკოლას მიეცა რჩევები, გასასწორებელი დოკუმენტაციები.

ვიზიტის დასრულებისას ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 320	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒	სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა, ადამიანური რესურსი და მზაობა გვამღევს იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლაში მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა შესაძლოა განისაზღვროს მაქსიმუმ 100 მოსწავლით.

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

დაწყებით საფეხურზე ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. საბაზო საფეხურზე ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. საშუალო საფეხურზე ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	სკოლის მიერ სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი მიზნები და ამოცანები მოვიდეს შესაბამისობაში, სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილ მიზნებისა და ამოცანებთან 2024 წლის 2 სექტემბრიდან 2024 წლის 8 სექტემბრის ჩათვლით.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების	დაწესებულებამ გაითვალისწინოს სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგრადობის შესახებ დასკვნაში მოცემული მითითებები 2025 წლის 2 სექტემბრის ჩათვლით

¹ გარდ მეთუ სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



	სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
ინდიკატორი N3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა სწავლის ინკლუზიურ გარემოს	ქმნ. სკოლამ უზრუნველყოს პანდუსის მოწყობა კიბის უჯრედებში და რესურსოთახის მოწყობა 2024 წლის 24 ივლისიდან 2025 წლის 25 ივლისის ჩათვლით
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
--------------	--------------------	--



	(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	
ინდიკატორი N2.2.2.3	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით	საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიის მოწყობა, სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით (დაწყებით/საბაზო/საშუალო საფეხურზე) 2024 წლის 26 ივლისიდან 2025 წლის 26 ივლისის ჩათვლით

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N1.1.1.1	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში, სადაც დეკლარირებულია სკოლის ფილოსოფია, არ იყოს განსხვავება და იყოს ერთი და იგივე ვერსია. ასევე სკოლას მიეცა რჩევა სკოლის დოკუმენტებზე იყოს დაწერილი სკოლის სრული დასახელება, კერძოდ, „სსიპ-ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლა“, ნაცვლად „სსიპ ხიზაბავრის საჯარო სკოლისა“.
ინდიკატორი N1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან	სტრატეგიულ გეგმაში ცვლილების განხორციელებისას სკოლამ განსაზღვროს სტრატეგიული მიზნებისათვის მისაღწევი საჭირო რესურსების ჩამონათვალი, შესრულების ინდიკატორები და პასუხისმგებელ პირები/სტრუქტურები.



	თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N3.6.2.1	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი	საქმისწარმოების წესის შესაბამისად დაინომროს ყველა ხელშეკრულება. შექმნას ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი.
ინდიკატორი N3.3.1.4	სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.	შემუშავებულ იქნას მშობლებთან ურთიერთობის წესი.
ინდიკატორი N 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს:	გაითვალისწინეთ სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N182 22/04/2024 ით გათვალისწინებული მოთხოვნები.



	ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა- ნაგებობების ო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით	
--	--	--



	დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
ინდიკატორი N3.5.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;	1.სასურველია სამკითხველო სივრცე იყოს გამიჯნული ან მოიძებნოს ალტერნატიული სივრცე, სადაც შესაძლებელი იქნება სამკითხველო სივრცის მოწყობა. 2.შეიქმნას ელექტრონული კატალოგი.
ინდიკატორი N3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს ღია სპორტული მოედნის აღჭურვა ფეხბურთის კარის ბადეებითა და ფრენბურთის ბადეებით..
ინდიკატორი 3.6.3.1	სკოლა ახორციელებს საზოგადოების	რჩევა, შექმნას ერთიანი დოკუმენტი, რომელიც დაარეგულირებს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესს.



	ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;	
--	--	--

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	რჩევა დაწყებითი საფეხური
ინდიკატორი 2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება გამახვილდეს და მეტად დაიხვეწოს: კონცეპტუალური ჩარჩო (ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, სკოლის ფილოსოფია), კურიკულუმის დიზაინი (კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულები, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაცია, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში (უცხოური ენები). 2. მე-3 და მე-4 კლასის მე და საზოგადოების კურიკულუმებში ყველა თემაში დამუშავდეს ყველა ცნება. მე-5 და მე-6 კლასების ჩვენი საქართველოს კურიკულუმებში ყველა თემაში დამუშავდეს ყველა ცნება (საზოგადოებრივი მეცნიერებები). 3. კურიკულუმის ჩარჩოს რესურსების გრაფაში აისახოს სახემძღვანელოს ის გვერდები, რომლებსაც იყენებთ კონკრეტულ თემაზე მუშაობის დროს (ესთეტიკური აზრდა).



ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	1. სკოლას მიეცა რჩევა, წარმოდგენილ კურიკულუმებში გადაიხედოს კურიკულუმის შემადგენელი კომპონენტები და დარედაქტირდეს თემის სვეტი საგნობრივ სტანდარტთან მიმართებაში, რამეთუ თემების ჩამონათვალი რეალურად წარმოადგენს სახელმძღვანელოდან აღებულ საგნობრივ საკითხებს (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები). 2. მნიშვნელოვანია, რომ სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტი - სასწავლო პროცესის მორიტორინგი შეფასების ანალიზი, გარდა დამსწრე კოლეგას მიერ გაკვეთილზე დაკვირვებისა შეიცავდეს მასწავლებლის მიერ ჩატარებული გაკვეთილის რეფლექსიასაც. მასწავლებელმა გაზომოს საკუთარი წინსვლა, აღმოაჩინოს და გადაჭრას ის პრობლემები, რომლებიც არ ჰქონდა გათვითცნობიერებული რეფლექსიის გაკეთებამდე (ესთეტიკური აღზრდა). 3. სასურველია, მე-2; მე-3; მე-4; კლასის თემაში „გასართობი სახალისო თამაშები“ დაკონკრეტდეს რომელი სპორტის სახეობის ელემენტები ისწავლება და გაიწეროს ამ თემის შესაბამისი ქვეცნებები და საკითხები (სპორტი). 4. ფიზიკური აღზრდის მესამე კლასის კურიკულუმში ასახული თემა „სახალისო თამაშები“ სასურველია, გაიწეროს არა ყველა სავარაუდო თემის აქტივობა, არამედ მხოლოდ იმ ერთი სპორტის სახეობის ელემენტები, რომელიც მუშავდება აღნიშნულ თემაში და რომლის რესურსიც(ინვენტარი) გააჩნია სკოლას (სპორტი). 5. სკოლას მიეცა რჩევა სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად უზრუნველყოს კურიკულუმში კონკრეტული საკითხის დავალებებისა და მაგალითების ჩამონათვალის ჩამატება შედერაებისთვის (კომპიუტერული ტექნოლოგიები).
ინდიკატორი 2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	1. სკოლამ შეიმუშაოს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად განმავითარებელი შეფასების რუბრიკები(უცხოური ენები)



ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშაონ განმავითარებელი შეფასების და უკუკავშირის წერილობითი ფორმები, რამდენადაც ამ ეტაპზე ამას აქვს ზეპირი ხასიათი
ინდიკატორი N2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	1. სკოლამ მოსწავლეთა საჭიროებების და სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულეების/მიღწევების შესწავლის მიზნით საფეხურის ფარგლებში ჩაატაროს მოსწავლეთა სადაიაგნოსტიკო შეფასებები, რაც ხელს შეუწყობს დაადგინოს, რამდენად აღწევს სკოლა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგს და ჰქონდეს რეაგირება შემხვედრ საჭიროებებზე. 2. სკოლას მიეცა რჩევა IV კლასში კლასის კურიკულუმში თემაში აისახოს სამიზნე ცნებები (მათემატიკა -დაწყებითი საფეხური) 3. სკოლას მიეცა რჩევა გააგრძელოს მუშაობა კურიკულუმზე და სამომავლოდ გაამდიდროს ის სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებებით (სახელმწიფო ენა) 4. სკოლას მიეცა რჩევა IV კლასში კლასის კურიკულუმში თემაში აისახოს სამიზნე ცნებები და საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას აისახოს კურიკულუმში, როგორცაა პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები და ა.
ინდიკატორი 2.2.2.1	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი	1. სკოლას მიეცა რჩევა, ნათლად წარმოაჩინონ კურიკულუმებში კლასების მიხედვით, რომელ სახელმძღვანელოებს იყენებენ სასწავლო პროცესში. (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები) 2. სკოლას მიეცა რჩევა რესურსებთან დაკავშირებით, ნათლად ასახონ კურიკულუმებში, რომელ სახელმძღვანელოებს იყენებენ, ასევე დააკონკრეტონ ციფრული რესურსები, რომლებიც მითითებულია კურიკულუმში (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები).



ინდიკატორი 2.2.2.2	დამხმარე სასწავლო რესურსი (არსებობის შემთხვევაში) არის ვალიდირებული სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად	1.სკოლას მიეცა რჩევა გამოიყენოს უფრო მეტი დამხმარე სასწავლო რესურსები კურიკულუმში (კომპიუტერული ტექნოლოგიები).
ინდიკატორი 2.2.2.3	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლას მიეცა რჩევა კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად სამომავლოდ გაამდიდროს ის სხვადასხვა ტიპის რესურსით (სახელმწიფო ენა).
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური	სკოლას მიეცა რჩევა შმუშავდეს კურუკულუმების შესაბამისად, კონკრეტულ ამოცანებზე მორგებული შეფასების რუბრიკები .
ინდიკატორი N2.2.1.4	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;	სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტში მკაფიოდ გაიწეროს მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვის და შენახვის ვალდებულება.



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	რჩევა საბაზო საფეხური
ინდიკატორი 2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმში წარმოდგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	1. გეოგრაფიის კურიკულუმში სწორად გაიწეროს ცნებები. მაგ: გეოგრაფიული კვლევა და ანალიზი არ არის ცნება (გეოგრაფია). 2. ყველა თემაში დამუშავდეს ყველა ცნება (გეოგრაფია). 3. კურიკულუმები გაიწეროს სრულად, უმეტესად არის ორი კომპლექსური ტიპის დავალება ყველა კლასის კურიკულუმში (ისტორია). 4. კურიკულუმის ჩარჩოს რესურსების გრაფაში შეიტანეთ სახემძღვანელოს ის გვერდები, რომლებსაც იყენებთ კონკრეტულ თემაზე მუშაობის დროს (ესთეტიკური აზრდა).
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	1. მნიშვნელოვანია, რომ სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტი - სასწავლო პროცესის მორიტორინგი შეფასების ანალიზი, გარდა დამსწრე კოლეგას მიერ გაკვეთილზე დაკვირვებისა შეიცავდეს მასწავლებლის მიერ ჩატარებული გაკვეთილის რეფლექსიასაც. მასწავლებელმა გაზომოს საკუთარი წინსვლა , აღმოაჩინოს და გადაჭრას ის პრობლემები, რომლებიც არ ჰქონდა გათვითცნობიერებული რეფლექსიის გაკეთებამდე (ესთეტიკური აღზრდა). 2. სასურველია, საბაზო საფეხურის კურიკულუმში გაწერილ ყველა თემაში ასახული იყოს შუალედური მიზანი და შიდა სასკოლო/საკლასო ფესტივალებზე მოსწავლის მიერ წარმოჩენილი შესასწავლი საკითხები (სპორტი- საბაზო). 3. სკოლის მიერ გადმოგზავნილ საბაზო საფეხურის კომპლექსური დავალების ნიმუშში სასურველია, გაწერილი იყოს როგორც თემის შესასწავლად გამოყენებული აქტივობები, ასევე მათი განხორციელებისთვის საჭირო ეტაპები(სპორტი).
ინდიკატორი 2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია	სასურველი იქნება, კურიკულუმებში კომპლექსური ტიპის დავალების პროდუქტის არჩევანის საშუალება მიეცეთ მოსწავლეს მათი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით (საზოგადოებრივი მეცნიერები)



	დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშაონ განმავითარებელი შეფასების და უკუკავშირის წერილობითი ფორმები, რამდენადაც ამ ეტაპზე ამას აქვს ზეპირი ხასიათი
ინდიკატორი N2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	1. სკოლამ მოსწავლეთა საჭიროებების და სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულეების/მიღწევების შესწავლის მიზნით საფეხურის ფარგლებში ჩაატაროს მოსწავლეთა სადიაგნოსტიკო შეფასებები, რაც ხელს შეუწყობს დაადგინოს, რამდენად აღწევს სკოლა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგს და ჰქონდეს რეაგირება შემხვედრ საჭიროებებზე 2. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას აისახოს კურიკულუმში, როგორცაა პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები და ა.შ (საგანი მათემატიკა). 3. სკოლას მიეცა რჩევა გააგრძელოს მუშაობა კურიკულუმზე და სამომავლოდ გაამდიდროს ის სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებებით (სახელმწიფო ენა)
ინდიკატორი 2.2.2.1	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი	სკოლას მიეცა რჩევა რესურსებთან დაკავშირებით, ნათლად ასახონ კურიკულუმებში, რომელ სახელმძღვანელოებს იყენებენ, ასევე დააკონკრეტონ ციფრული რესურსები, რომლებიც მითითებულია კურიკულუმში (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები)



ინდიკატორი 2.2.2.3	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლას მიეცა რჩევა კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად სამომავლოდ გაამდიდროს ის სხვადასხვა ტიპის რესურსით (სახელმწიფო ენა).
ინდიკატორი N2.2.1.4	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის პერიფიკაციის მექანიზმი;	სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტში მკაფიოდ გაიწეროს მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვის და შენახვის ვალდებულება.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	რჩევა საშუალო საფეხური
--------------	--------------------	---------------------------



	(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	
ინდიკატორი 2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	1. კურიკულუმებში ყველა თემაში დამუშავდეს ყველა ცნება (ისტორია). 2. მე-11 კლასის კურიკულუმში ყველა თემაში დამუშავდეს ყველა ცნება და გაიწეროს მე-10 და მე-11 კლასების პროექტული სწავლების კურიკულუმები მოქალაქეობაში. (მოქალაქეობა). 3. სკოლას მიეცა რჩევა მკაფიოდ განისაზღვროს საშუალო საფეხურის მისაღწევი შედეგების ორიენტირი. დაიხვეწოს არსებული კურიკულუმები (უცხოური ენები).
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	1. მნიშვნელოვანია, რომ სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტი - სასწავლო პროცესის მორიტორინგი შეფასების ანალიზი, გარდა დამსწრე კოლეგას მიერ გაკვეთილზე დაკვირვებისა შეიცავდეს მასწავლებლის მიერ ჩატარებული გაკვეთილის რეფლექსიასაც. მასწავლებელმა გაზომოს საკუთარი წინსვლა, აღმოაჩინოს და გადაჭრას ის პრობლემები, რომლებიც არ ჰქონდა გათვითცნობიერებული რეფლექსიის გაკეთებამდე (ესთეტიკური აღზრდა) 2. სასურველია, საშუალო საფეხურის კურიკულუმში გაწერილ ყველა თემაში ასახული იყოს შუალედური მიზანი და შიდა სასკოლო/საკლასო ფესტივალზე მოსწავლის მიერ წარმოჩენილი შესასწავლი საკითხები (სპორტი). 3. საშუალო საფეხურის 10; 12; კლასის კურიკულუმის შერჩეულ თემაში „მავნე ჩვევების პრევენცია“, სადაც მუშავდება ერთი სამიზნე ცნება, სასურველია, რომელიმე კლასში შეიცვალოს თემის შინაარსი, ან არ მეორდებოდეს საკითხები, აგრეთვე, მე-11-კლასის კურიკულუმს დაემატოს თემა, სადაც მოსწავლეები შეძლებენ პროექტის მომზადებას და პრეზენტაციას შიდა სასკოლო/საკლასო კონფერენციაზე.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ	სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშაონ განმავითარებელი შეფასების და უკუკავშირის წერილობითი ფორმები, რამდენადაც ამ ეტაპზე ამას აქვს ზეპირი ხასიათი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები)



	პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	
ინდიკატორი N2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	1. სკოლამ მოსწავლეთა საჭიროებების და სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულეების/მიღწევების შესწავლის მიზნით საფეხურის ფარგლებში ჩაატაროს მოსწავლეთა სადაიაგნოსტიკო შეფასებები, რაც ხელს შეუწყობს დაადგინოს, რამდენად აღწევს სკოლა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგს და ჰქონდეს რეაგირება შემხვედრ საჭიროებებზე. 2. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას აისახოს კურიკულუმში, როგორცაა პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები და ა.შ (საგანი მათემატიკა). 3. სკოლას მიეცა რჩევა გააგრძელოს მუშაობა კურიკულუმზე და სამომავლოდ გაამდიდროს ის სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებებით (სახელმწიფო ენა)
ინდიკატორი 2.2.2.1	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი	1. სკოლას მიეცა რჩევა, ნათლად წარმოაჩინონ კურიკულუმებში კლასების მიხედვით, რომელ სახელმძღვანელოებს იყენებენ სასწავლო პროცესში. (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები) 2. სკოლას მიეცა რჩევა რესურსებთან დაკავშირებით, ნათლად ასახონ კურიკულუმებში, რომელ სახელმძღვანელოებს იყენებენ, ასევე დააკონკრეტონ ციფრული რესურსები, რომლებიც მითითებულია კურიკულუმში (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები)
ინდიკატორი 2.2.2.2	დამხმარე სასწავლო რესურსი (არსებობის შემთხვევაში) არის ვალიდირებული სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად	სკოლას მიეცა რჩევა გამოიყენოს უფრო მეტი დამხმარე სასწავლო რესურსები კურიკულუმში (კომპიუტერული ტექნოლოგიები-დაწყებითი საფეხური).



ინდიკატორი 2.2.2.3	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლას მიეცა რჩევა კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად სამომავლოდ გაამდიდროს ის სხვადასხვა ტიპის რესურსით (სახელმწიფო ენა).
ინდიკატორი N2.2.1.4	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის პერიფიკაციის მექანიზმი;	სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტში მკაფიოდ გაიწეროს მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვის და შენახვის ვალდებულება.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ: რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც-„არ შეესაბამება“ (3.1.2.4) ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც „სრულად შესაბამისი“, რადგან სკოლამ შესაბამისობის გეგმის დანართად წარმოადგინა მტკიცებულებები. რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც-„არ შეესაბამება“ (1.2.1.3; 3.4.1.1; 3.4.1.2; 3.5.1.4; 2.2.2.3) ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.1.1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს

სსიპ-ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სკოლის ფილოსოფია: მისის, ხედვა და ღირებულებები, რომელიც დეკლარირებულია ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილ 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში. თუმცა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი სკოლის ფილოსოფია განსხვავდება სკოლის ძირითად დოკუმენტებში და ვებგვერდზე გასაჯაროებულ სკოლის ფილოსოფიისაგან.

სკოლის მისია და ხედვა სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. იძლევა იდენტობის განსაზღვრის საშუალებას და არის მამოტივირებელი. სკოლის მისიაა აღზარდოს ეროვნული ინტერესებისა და ტრადიციების დამცველი, კრიტიკულად მოაზროვნე, შემოქმედი, კომუნიკაბელური, ზნეობრივად, სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი მოზარდ, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, მეცნიერული, ეკონომიკური და ბუნებრივი მონაპოვრების დაცვას, განვითარებასა და მომავალი თაობის მსოფლიო სივრცეში თვითრეალიზაციას. სკოლის მისიაში იკვეთება, კონკრეტული მიზანი გამოავლინოს და განავითაროს ყველა მოსწავლის პოტენციალი, დაეხმაროს მათ სწორ პროფესიულ ორიენტაციაში, აღჭურვოს ისინი ყველა საჭირო ცოდნითა და უნარ-ჩვევებით, რათა ჩამოყალიბდნენ ცოდნის მიმღებ და გამზიარებელ დემოკრატიული ღირებულებების მქონე აქტიურ მოქალაქეებად. ასევე მისიაში სკოლას გაცხადებული აქვს იზრუნოს სკოლის პერსონალის, კერძოდ როგორც პედაგოგთა ისე სხვა დანარჩენ თანამშრომელთა საქმიანობის ხარისხობრივ ზრდაზე, რათა სკოლა იყოს კონკურენტუნარიანი და მდგრადი.

რაც შეეხება ხედვას სკოლას დაკონკრეტებული აქვს მიზნის მიღწევის პერიოდი. ხედვის შესაბამისად 2030 წლისთვის სკოლა იქნება სკოლის თემისთვის სოცო-კულტურული ცენტრი თავისი მულტიკულტურული გარემოთი, მრავალფეროვანი საგანმანათლებლო და სამოქალაქო საქმიანობით, რომელიც ღიაა საზოგადოებისთვის მათი ცოდნისა და უნარების გასაზიარებლად. მისიის შესაბამისად სკოლის ხედვაა, სკოლამ შვიდ წელიწადში დაიმკვიდროს საკუთარი ადგილი ეროვნულ საგანმანათლებლო სივრცეში, მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარებით, მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობით, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებით, თანადგომით, პასუხისმგებლობით, თანამშრომლობით, სიყვარულით და ერთგულებით.

სკოლას ეძლევა რჩევა: სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში, სადაც დეკლარირებულია სკოლის ფილოსოფია, არ იყოს განსხვავება და იყოს ერთი და იგივე ვერსია. ასევე სკოლას მიეცა რჩევა სკოლის დოკუმენტებზე იყოს დაწერილი სკოლის სრული დასახელება, კერძოდ, „სსიპ-ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლა“, ნაცვლად „სსიპ ხიზაბავრის საჯარო სკოლისა“.

ინდიკატორი 1.1.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს

სსიპ-ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლას მისიითა და ხედვით განსაზღვრული აქვს პოზიტიური, კონკურენტუნარიანი და სწავლისთვის მასტიმულირებელ გარემოს უზრუნველყოფა, რაც გარანტიას ქმნის სასკოლო საზოგადოებაში უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცის ჩამოყალიბების.

მისიაში გაცხადებულია, რომ სკოლა იყოს მყარი და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული ცოდნის კერა, რომელიც აღზრდის ეროვნული ინტერესებისა და ტრადიციების დამცველ, კრიტიკულად მოაზროვნე, შემოქმედ, კომუნიკაბელურ, ზნეობრივად, სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღ პიროვნებას, რომელიც, ხელს შეუწყობს ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, მეცნიერული, ეკონომიკური და ბუნებრივი მონაპოვრების დაცვას, განვითარებასა და მომავალი თაობის მსოფლიო სივრცეში თვითრეალიზაციას. პიროვნულ განვითარებაზე ზრუნვით სკოლა გამოავლენს და განავითარებს ყველა მოსწავლის პოტენციალს. დაეხმარება მათ სწორ პროფესიულ ორიენტაციაში, ყველა საჭირო ცოდნითა და უნარჩვევებით აღჭურვაში, რათა ჩამოყალიბდნენ ცოდნის მიმღებ და გამზიარებელ დემოკრატიული ღირებულებების მქონე აქტიურ მოქალაქეებად.

სკოლის დირექტორმა და მასწავლებლებმა შეხვედრისას აღნიშნეს, რომ სკოლა მისიაში გაცხადებულ მიზნების მიღწევას განახორციელებს სასკოლო საზოგადოების უწყვეტი პროფესიული განვითარებით, გუნდურობით, პროფესიონალიზმით, თანამშრომლობით, მოსწავლეთა სხვადასხვა სახის არაფორმალური ხასიათის, ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლი კომპეტენციების, ფუნქციურ-კომპონენტური, პრიორიტეტული თემების მიხედვით შერჩეულ აქტივობებში (სასკოლო კლუბები, სოციალური აქტივობები, პროექტები, მოსწავლეთა შიდა სასკოლო კონფერენციები, ექსკურსიები, ვიზიტები და სხვა) ჩართვით.

ადგილზე ვიზიტის და სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე სკოლას აქვს მზაობა დაინახოს, გაიაზროს და განსაზღვროს საკუთარი როლი სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის შესაქმნელად.

ინდიკატორის 1.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სსიპ-ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლამ მისიის, ხედვის და ღირებულებების შესამუშავებლად ჩართო სასკოლო საზოგადოება. შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლე. წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება და მათი მუშაობის ამსახველი სამუშაო შექვედრების ოქმები და ფოტოსურათები. ეწყობოდა ზეპირი განხილვები და ამის შემდეგ შეიმუშავეს მისიის ხედვის ღირებულებების სამუშაო ვერსიები.

სკოლას შეიქმნილი აქვს სკოლის ფილოსოფიის- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. აღნიშნულმა ჯგუფებმა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით იმუშავა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტის შექმნაზე, რაც დასტურდება სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით. ასევე აღნიშნულმა ჯგუფმა სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართვის მიზნით განახორციელა სხვადასხვა აქტივობები, კერძოდ, მშობლებთან ჩაატარა მშობელთა კრებები, შეადგინა კითხვარები, როგორც მასწავლებლებისათვის, ასევე მშობლებისა და მოსწავლეებისათვის, რომ სასკოლო საზოგადოების ჩართულობითა და უკუკავშირებით დაედგინათ რა უნდა იყოს სკოლის მისია და ხედვა, რა არის სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, რა შესაძლებლობები აქვს სკოლას ხარისხიანი სწავლების უზრუნველსაყოფად, რამდენად ხშირად ახორციელებს სკოლა სწავლის ახალ მიოდგომებს, როგორია მშობელმა ჩართულობა სკოლაში და ა.შ.

ინდიკატორის 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სსიპ-ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შესამუშავებლად შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა მისია, ხედვა და ღირებულებების სამუშაო ვერსია გააზიარა სასკოლო საზოგადოების წევრებთან შეხვედრების საშუალებით და მიიღო ზეპირი უკუკავშირები, რაც სამუშაო ჯგუფის მიერ განხილულ იქნა სამუშაო შეხვედრაზე. სკოლას 2023-2024 სასწავლო წლისათვის შეთანხმებული აქვს სამეურვეო საბჭოსთან და სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ ოქმით დამტკიცებული აქვს სკოლის ფილოსოფია და 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც დეკლარირებულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები.

სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, სადაც ასევე დეკლარირებულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები.

სკოლას მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები, სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარების მიზნით, სკოლის ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე, სურათების სახითაა გამოკრული, ატვირთულია სკოლის ვებ გვერდზე, გაგზავნილია სოციალური გვერდზე შექმნილი პედაგოგიური და მშობელთა სასკოლო ჯგუფებისათვის.

ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნეს, რომ სკოლი მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში აქტიურად იყო ჩართული სასკოლო საზოგადოების ყველა მხარე და მათი ჩართულობა უზრუნველყოფს დოკუმენტის შინაარსის გაზიარებასაც.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით შექმნილი სასკოლო კურიკულუმის შემუშავების ჯგუფი და შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების შემუშავების ჯგუფი დაკომპლექტებულია სკოლის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებისა და სასკოლო საზოგადოების წევრებით. ამდენად ყველა რგოლში მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია. სკოლის კულტურიდან და წინარე გამოცდილებიდან შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე კლასის დამრიგებლები გააცნობენ მისიას, ხედვას და ღირებულებებს სკოლის მოსწავლეებს და მათ მშობლებს.

ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სსიპ-ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯარო და ხელმისაწვდომი იყო სასკოლო საზოგადოებისათვის, რომელიც დასტურდება სკოლის საინფორმაციო დაფაზე, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულ მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტით. ასევე მოქმედი მისია ხედვა და ღირებულებები სკოლის

მიერ საჯაროდაა განთავსებული სკოლის ვებ გვერდზე და განხილულია მშობელთა შეხვედრებზე (აღნიშნულზე ჩანაწერები სკოლას არ გააჩნია).

ინდიკატორი 1.1.1.5 დაკმაყოფილებულია

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

სსიპ-ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანება, რითაც დასტურდება, რომ სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორი 1.1.1.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
3. პედსაპქოს ოქმი N1;
4. სამეურვეო საბჭოს ოქმი N1;
5. სკოლის დირექტორის ბრძანებები;
6. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
7. ინტერვიუ სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან;
8. კლუბების დებულებები;
9. პროექტები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

სსიპ-ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლას სტრატეგიული პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების განსაზღვრისათვის შემუშავებული აქვს და ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით ჩანს, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმის შექმნის



მეთოდები, რომლის მთავარ ორიენტირად მაქსიმალური ჩართულობა განისაზღვრა. მეთოდოლოგიის მიხედვით ნათლად ჩანს ის ნაბიჯები, რომელიც უნდა განახორციელოს სკოლამ ეტაპობრივად შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შექმნისას.

ეს დოკუმენტი ადგენს სკოლის მმართველობითი პროცესის - მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებს, განსაზღვრავს პროცესზე პასუხისმგებელ პირსა და პროცესში ჩართულ მხარეებს, ასევე განსაზღვრავს აღნიშნული დოკუმენტების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მეთოდოლოგიით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოება ჩართულობა, გათვალისწინებული ცვლილების შესაძლებლობა, გადახედვა, მოდიფიკაცია, წარდგენა სამეურვეო საბჭოზე, უკუკავშირების გათვალისწინება, მონიტორინგი, შესრულების ვადები, ინდიკატორების განსაზღვრა.

ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

სსიპ-ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. სტრატეგიულ გეგმაში გაანალიზებულია მოსალოდნელი შედეგი და რისკები. წარმოდგენილია S W O T ანალიზი, რომელშიც გაანალიზებულია ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები.

სკოლას განსაზღვრული აქვს სტრატეგიული მიზნები 2023-2030 წლებში სამუშაოდ:

- სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა;
- კვალიფიციური კადრები;
- ციფრული ტრანსფორმაცია;
- არაფორმალური განათლების გაძლიერება



თითოეული მიზანი მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებს, შერულების ციკლს, პერიოდს, კონკრეტულად, რომელ წელს რომელი მიზანი და მიზნის შესაბამისი ამოცანა იქნება მიღწეული, რომელ წელს რა შედეგზე უნდა გავიდეს სკოლა.

სტრატეგიულ გეგმაში არ არის განსაზღვრული სტრატეგიული მიზნებისათვის მისაღწევი საჭირო რესურსების ჩამონათვალი, შესრულების ინდიკატორებსა და პასუხისმგებელ პირებს/სტრუქტურას.

რჩევა: სტრატეგიულ გეგმაში ცვლილების განხორციელებისას სკოლამ განსაზღვროს სტრატეგიული მიზნებისათვის მისაღწევი საჭირო რესურსების ჩამონათვალი, შესრულების ინდიკატორები და პასუხისმგებელ პირები/სტრუქტურები.

ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

სსიპ-სსპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება ყოველწლიურ swot ანალიზს, თუმცა სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი მიზნები და ამოცანები არ არის შესაბამისი სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილი მიზნებისა და ამოცანების.

სკოლის დირექციის, მასწავლებელთა ინტერვიუებითა და წარმოდგენილი გამოკითხვის დოკუმენტებით დასტურდება, რომ სამოქმედო გეგმა სკოლამ შეიმუშავა გასული სასწავლო წლის შეჯამებისა და თვითშეფასების ანალიზის საფუძველზე, სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ჩატარებული გამოკითხვებისა და ფოკუს ჯგუფების შეხვედრის ფოტომასალა.

რეკომენდაცია: სკოლის მიერ სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი მიზნები და ამოცანები შეესაბამებოდეს, სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილ მიზნებსა და ამოცანებს. 2024 წლის 2 სექტემბრიდან 2024 წლის 8 სექტემბრის ჩათვლით.



ინდიკატორი 1.2.1.3 მეტწილად შეესაბამება.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

სსიპ-ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული ერთწლიან პერიოდში განსახორციელებელი ამოცანები, დაგეგმილ აქტივობები, მათი განხორციელების ვადები, მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულები და ჩართულ მხარეები, თუმცა სამოქმედო გეგმაში არ არის განსაზღვრული სტრატეგიული გეგმის შესაბამისი მიზნები, ამოცანები, შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- გამოკითხვის დოკუმენტები;
- ფოტომასალა;
- სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუები.
-

ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებულია

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
სსიპ-ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს და ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა დოკუმენტი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.
ამ დოკუმენტით განსაზღვრულია სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება. სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება გულისხმობს, თუ რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის სტრატეგია.

მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ერთხელ. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში წელიწადში ერთხელ სასწავლო წლის ბოლოს.



სამოქმედო გეგმის მონიტორინგი მოიცავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულებასთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება შედეგად მოხდება შეგროვებული მონაცემების გაანალიზება და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრა. შეფასების შედეგები სკოლას მისცემს შესაძლებლობას მიიღოს ინფორმაცია დაგეგმვის პროცესის ხარისხის, არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს სკოლა გამოიყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის.

სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესი ითვალისწინებს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობას აუცილებლობის შემთხვევაში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ერთეულებს: დირექცია (დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი); ადმინისტრაცია (საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ექთანი, დამლაგებელი(2), დარაჯი(2), სამეურვეო საბჭო; პედაგოგიური საბჭო; მოსწავლეთა თვითმმართველობა; დისციპლინური კომიტეტი; მრჩეველთა საბჭო. სკოლას ემსახურება „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში დასაქმებული 2 პირი დამლაგებლის პოზოციაზე.

დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია სკოლის სტრუქტურა. სკოლა ასევე სარგებლობს წესდებით, სადაც გაწერილია საჯარო სკოლისთვის განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურის სავალდებულო რგოლების სამუშაო აღწერილობები. გარდა ამისა, დასაქმებული პირების/სტრუქტურული ერთეულების უფლება-მოვალეობები წარმოდგენილია შრომითი ხელშეკრულებითაც. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად სკოლაში ფუნქციონირებს ექვსი კათედრა. სახელმწიფო ენის კათედრა; მათემატიკის კათედრა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა, უცხოური ენების კათედრა, ესთეტიკური აღზრდისა და ისტის კათედრა.

კათედრის სხდომა ფორმდება კათედრის სხდომის ოქმით. სკოლაში ვიზიტისას წარმოდგენილ იყო სხვადასხვა კათედრის ოქმები. პედაგოგიური პერსონალი შედგება - 21 მასწავლებლისაგან. აქედან, 4 უსტატუსოა, 16 უფროსი, 1 წამყვანი მასწავლებელია. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, სადაც გაწერილია თვითმმართველობის ფუნქცია-მოვალეობები, მისი არჩევის წესი. აღნიშნული სტრუქტურული რგოლი აქტიურად არის ჩართული სკოლის მართვასა და ფუნქციონირებაში. კანონმდებლობის სრული დაცვით, სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომლებს გაცნობიერებული აქვთ თავიანთი ფუნქციები და მოვალეობები.

ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმით დასტურდება, რომ სკოლაში მიმდინარე პროცესებს ჰყავს პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

როგორც სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა, სკოლაში ხდება მასწავლებლის მუშაობის შეფასება. კერძოდ, კათედრის წევრების დასწრება გაკვეთილზე, რომლის შემდეგ კეთდება ანალიზი და ფასდება მასწავლებელი. ასევე, სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ხდება მოსწავლეთა შედეგების განხილვა კათედრის სხდომებზე.

სასკოლო გარემოს გაუმჯობესების მიზნით სკოლა გეგმავს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ორგანიზებას, შესაბამისი კითხვარებისა და აუცილებელი დოკუმენტების შემუშავებას, გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავდება რეკომენდაციები. ამ პროცესებს სხვადასხვა ეტაპზე ეყოლება შესაბამისი პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა;
- 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- სამუშაო აღწერილობები;
- შინაგანაწესი;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- კათედრების ოქმები;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნებს, ამოცანებს, ადამიანური რესურსების მართვის ციკლს, ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიას, სამუშაო აღწერილობას, კონკურსის ჩატარების პირობებს. დოკუმენტში ასახულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები (მასწავლებლების), ასევე განსაზღვრულია პერსონალის/ახალი თანამშრომლების სოციალიზაციისა და ახალ გარემოში ადაპტაციის მექანიზმები. ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტით გათვალისწინებულია შესრულებული სამუშაოს შეფასების ინსტრუმენტები, რაც დადასტურდა სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას. აღნიშნული დოკუმენტით გაწერილია თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარების მექანიზმები.

პერსონალის მართვის გარკვეული წესები და პირობები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. შინაგანაწესით განსაზღვრულია: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, დასვენების ხანგრძლივობა, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი, ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომის პირობების დაცვის წესები, წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი, მატერიალური პასუხისმგებლობა, განცხადების/საჩივრის განხილვის წესი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები, სკოლაში ჩაცმულობის წესი. სკოლაში დასაქმებულთა სამუშაო დროის ყოველდღიური არღიცხვა წარმოებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 01-15/ნ ბრძანების დანართი 2-ის შესაბამისად (ტაბელი).

სკოლის პერსონალთან გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები. პერსონალთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია.

სკოლის შინაგანაწესის, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის და კონკრეტულ პოზიციაზე კონკურსის გამოცხადების წესის გაცნობა იძლევა საშუალებას დავადგინოთ, რომ სკოლაში პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2. სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, რომლის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს მასწავლებელთა შიდა შეფასების განხორციელება. კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან; ასევე, მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება და შეფასება; მასწავლებლისთვის განმავითარებელი შეფასების მიცემა მის მიერ ჩატარებულ საკვეთილზე და ა.შ. ხარისხის მართვის ჯგუფის უკუკავშირებისა და თანამშრომელთა თვითშეფასების გათვალისწინებით განისაზღვრება პროფესიული საჭიროებები (ტრენინგები, კონფერენციები, ვებინარები და ა.შ.). შესაბამისი აქტივობები გათვალისწინებულია სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაშიც. პერსონალის საჭიროებების დროულ გამოკვეთას ხელს შეუწყობს საგნობრივი კათედრების კოორდინირებული მუშაობა, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი და მონიტორინგის ჯგუფი. სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის დ¹⁰ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს შრომის კოდექსის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ხდება შესაბამისი კათედრის მასწავლებლით ან სხვა პედაგოგის მიერ. აღნიშნული

დასტურდება სკოლაში წარმოებული ჟურნალის მიხედვითაც, სადაც ხდება ჩამნაცვლებელი მასწავლებლის აღრიცხვა. დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლას უზრუნველყოფს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული მექანიზმების განხორციელებას.

ინდიკატორი 3.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

3.სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს ვაკანტურ ადგილზე კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესი, რომელიც არეგულირებს ვაკანტური ადგილისა დასაკავებლად კონკურსის გამოცხადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ასევე, განსაზღვრავს დასაკავებელი ვაკანტური ადგილის მოთხოვნებთან კანდიდატის კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენის პროცედურებს. სკოლის საკონკურსო მასალების გაცნობით დგინდება, რომ ვაკანტურ ადგილების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსი გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით მიმდინარეობს. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია კონკურსის ვადები და პირობები, განსაზღვრულია კონკრეტული პოზიციისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. განაცხადი ქვეყნდება საჯაროდ, მასწავლებლის ვაკანსიის ვებგვერდზე. სკოლის მიერ შემუშავებულ მარეგულირებელ დოკუმენტში „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ დეტალურად არის აღწერილი პერსონალის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ინდიკატორი 3.1.2.3 დაკმაყოფილებულია

4.ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ თანამშრომელთა პირად საქმეში ინახებოდა ყველა ის დოკუმენტაცია, რასაც სკოლის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესი ითვალისწინებდა.მასწავლებლებთან ხელშეკრულებები დადებულია სტატუსის შესაბამისად, მოიცავს ყველა სავალდებულო პუნქტს. მასწავლებლები შერჩეული არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. სკოლაში დასაქმებულია უსტატუსო,უფროსი და წამყვანი სტატუსის მქონე მასწავლებელი.კერძოდ, 4 უსტატუსოა, 16 უფროსი, 1 წამყვანი.

სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებთან, ტექნიკურ პერსონალთან და სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსსა და მოქმედ კანონმდებლობას. შრომითი ხელშეკრულებების ნაწილი დანომრილია დაწესებულებაში დამტკიცებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად,თუმცა აღრიცხული არ არის შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში.ასეთი ჟურნალი სკოლას არ აქვს.

პერსონალის პირადი საქმეებისა და eSchool ბაზა მონაცემების შესწავლით დგინდება, რომ სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.ვიზიტის პერიოდში (16/10-17/10/2023) „ზოგადი განათლების“ კანონით განსაზღვრული „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობისა“ და მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული „უფლების ჩამორთმევის“ ცნობები არ ჰქონდა არცერთ თანამშრომელს, როგორც სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, გაკეთებული არ აქვთ განცხადიც. **რჩევა:შექმნას ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი.** სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით და თანდართული დოკუმენტაციით წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები.

ინდიკატორი 3.1.2.4. დაკმაყოფილებულია

5.სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავლისა და სკოლის ადმინისტრაციასთან, ასევე კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება სკოლაში მოქმედი კოლეგიური ორგანოს პედაგოგიური

საბჭოსა და კათედრების ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. კათედრის წევრთა შორის ხდება გამოცდილების გაზიარება და კონკრეტული გამოწვევების დაძლევის გზების ძიება. კათედრების მუშაობა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს. კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს. აქტიურია კათედრებს შორის თანამშრომლობა, რასაც მოწმობს ჩატარებული ინტეგრირებული გაკვეთილები და განხორციელებული პროექტები, რომლებიც მრავლადაა წარმოდგენილი მტკიცებულებების სახით.

ინდიკატორი 3.1.2.5. დაკმაყოფილებულია.

6.სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლის დოკუმენტებში ვხვდებით წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმებს. შინაგანაწესით განსაზღვრულია დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი. ამ მიზნით სკოლაში აქტიურად მუშაობს „კრიტიკულ მეგობარის ინსტიტუტი“, კათედრის წევრები საკუთარ გამოცდილებებს და მიღწევებს უზიარებენ კოლეგებს.

სკოლის წარმომადგენლებთან ინტერიერებისა და დასტურდება შინაგანაწესით გათვალისწინებული წახალისების წესის არსებობა სკოლაში; სკოლა პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია და დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების შემდეგი ფორმებს: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

ინტერვიუს, კათედრის ოქმების და მარეგულირებელი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების პრაქტიკა.

ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- შინაგანაწესი;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- საქმისწარმოების წესი;
- 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- სკოლის სტრუქტურა;
- ვაკანტურ ადგილზე კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესი;

- კონკურსის ჩატარების ოქმები;
- პირადი საქმეები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- კათედრის ოქმები;
- გაკვეთილების გეგმები, რეფლექსიები და ხარისხის ჯგუფის უკუკავშირი ინტეგრირებული გაკვეთილების შესახებ.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლის პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმებს არეგულირებს სკოლის მიერ შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტები, კერძოდ: ა)ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა; ბ) ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. დებულებით განსაზღვრულია მასწავლებლის შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების გარდა, მოიცავს საგნობრივი სასწავლო თითოეული თემის ფარგლებში განხორციელებული სასწავლო პროცესის შეფასებას და მასწავლებლის რეფლექსიის შეფასებას. დებულების თანახმად მასწავლებელი იღებს შესაბამის უკუკავშირს. დაწესებულების წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლა აფასებს პერსონალის საქმიანობას და აძლევს უკუკავშირს, ასევე გეგმავს პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროების დადგენის მექანიზმების დახვეწას.

ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლის თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას ახორციელებს შესრულებული სამუშაოს ანალიზის საფუძველზე. გამოვლენილი საჭიროებების დადგენის შემდეგ ხდება პერსონალის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა. მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით განსაზღვრულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის საჭირო აქტივობები: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა სახის ტრენინგების ჩატარება და მასწავლებელთა გადამზადება. სკოლაში პროფესიული განვითარების აქტივობები განხორციელდება, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისების გამოყენებით.

ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3.სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლის მიერ შემუშავებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ ერთ-ერთი ამოცანაა, სკოლაში დასაქმებულთა პროფესიული განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა, მასწავლებლის კარიერულ წინსვლას არეგულირებს “მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა”. 2024-2025 სასწავლო წლის სკოლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია მასწავლებლებთან თემატური შეხვედრების თემატიკა (მაგ., შეფასების ინსტრუმენტები, გამოცდილების გაზიარება, კათედრებს შორის ინტეგრირებული თანამშრომლობა და სხვა). სკოლაში მასწავლებელთა მხარდამჭერი აქტივობები ხელს უწყობს მასწავლებელთა კარიერული წინსვლის შესაძლებლობას. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადინდა, რომ სკოლა ხელს უწყობს სხვა პერსონალსაც პროფესიულ განვითარებაში.

ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტში გაწერილია თანამშრომელთა მოზიდვის, შერჩევის, დაქირავების, ადაპტაცია-ორიენტაციის და სტაჟირების პოლიტიკა.

ახალი მასწავლებლის წარდგენა ხდება შესაბამის კათედრაზე, სხვა პერსონალის შემთხვევაში კი შესაბამის სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთან, სადაც გუნდის ახალ წევრს გააცნობენ სკოლაში დამკვიდრებულ ტრადიციებსა და წესებს. ხდება ახალი თანამშრომლის

გაწევრიანება საკომუნიკაციო დახურულ ჯგუფში. ახალ თანამშრომელს გადაეცემა სკოლის შინაგანაწესი და ხელისმოწერით ადასტურებს მისი გაცნობის ფაქტს, რომელიც ასევე გაწერილია შრომით ხელშეკრულებაში. სკოლა, ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის დოკუმენტი უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციას. აღნიშნული დადასტურდა პედაგოგებთან გასაუბრებისას.

ინდიკატორი 3.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მექანიზმები. თანამშრომელთა მოტივირება გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, რომელიც მიმართულია კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისაკენ. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. ინტერვიუს, კათედრის ოქმების და მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის მიერ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორი 3.2.1.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- შინაგანაწესი;
- 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- სკოლის სტრუქტურა;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- პირადი საქმეები;
- კათედრის ოქმები;
- გაკვეთილების გეგმები, რეფლექსიები და ხარისხის ჯგუფის უკუკავშირი ინტეგრირებული გაკვეთილების შესახებ.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს სწავლა/სწავლების, სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მართვას და ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. დოკუმენტის შექმნის მიზანია სწავლების ხარისხის მონიტორინგი და მათი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა. სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, სკოლა მუდმივად ახორციელებს სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს უწყვეტ ციკლს, რომელიც გულისხმობს: დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას, რეკომენდაციების შემუშავებას, ინტერვენციას და მის შედეგებზე დაკვირვებას.

ინდიკატორი 3.3.1.1 დაკმაყოფილებულია

2.მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის სხვადასხვა დოკუმენტებში: შინაგანაწესში, შრომით ხელშეკრულებებში და ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში.სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი პროცესი, კურიკულუმის შემუშავება, მეთოდოლოგიურად აღწერილია კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში.

ინდიკატორი 3.3.1.2 დაკმაყოფილებულია

3.სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრას საჯარო სკოლის შინაგანაწესში განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებებიც მოიცავს გასაჩივრების პუნქტს, მაგრამ ეს წესი ზოგადია და არ აკონკრეტებს მექანიზმებს და პროცედურებს, ამიტომ სკოლამ შეიმუშავა სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლის მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურები. დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლაში წარდგენილი განცხადების/საჩივრის დარეგისტრირების, განხილვისა და შედეგის დადგენის პროცედურებს. განცხადების/საჩივრის შემოტანა შეუძლია მოსწავლეს, მშობელს, სკოლაში დასაქმებულ პერსონალს ან/და სხვა დაინტერესებულ პირს. დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი პროცესის საფეხურები და წარმოების ვადები.

ინდიკატორი 3.3.1.3 დაკმაყოფილებულია

4.სკოლამ წარმოადგინა სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლითაც რეგულირებულია სკოლისა და მშობლის ურთიერთვალდებულებები. სკოლას არ აქვს შემუშავებული მშობლებთან ურთიერთობის წესი, რომელშიც მკაფიოდ იქნება გაწერილი მხარეთა უფლება მოვალეობები, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები.რჩევა:შეიმუშავოს მშობლებთან ურთიერთობის წესი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი;
- გასაჩივრების მექანიზმები;
- დირექტორის ბრძანება;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლთან გაფორმებული ხელშეკრულება.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლა მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის ძირითადად იყენებს სოციალურ ქსელს, სადაც შექმნილია დახურული ჯგუფები. გარდა ამისა, მშობელთან ურთიერთობის დებულების თანახმად, დამრიგებელი ვალდებულია მშობელს აქტიურად მიაწოდოს ინფორმაცია შვილის აკადემიური შედეგების შესახებ. სასკოლო საზოგადოების ინფორმირება და სასკოლო საზოგადოებისაგან უკუკავშირის მიღება ხდება ასევე მშობლებთან დირექციის შეხვედრებზე, მშობლებთან პერიოდული გასაუბრებით, რომლის შესახებ სასწავლო წლის დასაწყისშივე აქვთ მშობლებს ინფორმაცია. ყოველი კვირის პარასკევი მშობლებთან შეხვედრის დღეა და მშობლებს შეუძლიათ დამრიგებელთან შეთანხმებით ჩანიშნონ შეხვედრა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე სასაუბროდ.

სკოლის ფოიეში და სამასწავლებლოში არის საინფორმაციო დაფა, რომელზეც განთავსებულია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სიახლეები. როგორც სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრისას დადგინდა, სასწავლო წლის დაწყებისას დამრიგებელი უზრუნველყოფს მოსწავლეებისათვის და მათ მშობლებისთვის/კანონიერი წარმომადგენლებისთვის შემდეგი დოკუმენტაციის გაცნობა: სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ქცევის კოდექსი, გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, ქცევის წესები, სკოლაში არსებული მოსწავლეთა ზოგადი შეფასების სისტემა და სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია და სხვ.

სკოლას აქვს ვებგვერდი, თუმცა ის დამუშავების პროცესშია. სკოლა მას იყენებს სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ გეგმავენ უკუკავშირის მექანიზმის გაუმჯობესებას, რაც დაწესებულებას დაეხმარება დაადგინოს კონკრეტული საჭიროებები და სკოლის თემის მოლოდინები.

ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია

2.ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობი, პედაგოგიური საბჭო, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობით და უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართულობას სკოლის მართვაში და უზრუნველყოფს სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების შესრულების ხელშეწყობას.

ინდიკატორი 3.3.2.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- პედსაბჭოს ოქმები;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- თვითმმართველობის დებულება;
- სოციალური ქსელი;
- სკოლის ვებ-გვერდი;
- საინფორმაციო დაფა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის

ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც განსაზღვრულია სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით. სკოლას არ ჰყავს მანდატური. შენობაში არ არის დამონტაჟებული სათვალთვალო კამერა. სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფს დარაჯი (ორი დარაჯი). დარაჯი ვალდებულია დღის მანძილზე გააკონტროლოს მოსწავლეთა შენობაში შესვლისა და შენობის დატოვების პროცესი. სასწავლო პროცესის დროს უცხო პირების გადაადგილება დაუშვებელია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის ღობის მთლიანობა დარღვეულია (იხ. დანართი ფოტომასალის სახით) შენობაში არ არის დაცული ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები. ყველა სართულზე, კედელზე განთავსებულია განახლებული საევაკუაციო გეგმა, რომელიც შეესაბამება შენობის აზომვით ნახაზს და მასზე მითითებულია საევაკუაციო გასასვლელი. პირველ სართულზე განთავსებულია სახანძრო სტენდი, თუმცა არ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს. სკოლამ წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N182 22/04/2024. სკოლამ წარმოადგინა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ მე-5 მუხლის შესაბამისად შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა. სკოლამ ასევე, წარმოადგინა შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგრადობის შესახებ დასკვნა N5001294524 18/03/2024. დასკვნაში იკითხება, რომ შენობის ტექნიკური მდგრადობა არადაამაყოფილებელია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიაში (შენობის მეორე სართულზე) განთავსებულია ავზი. ადმინისტრაციის განმარტებით სველი წერტილები წყლით ამ ავზიდან მარაგდება. რეკომენდაცია: გაითვალისწინონ სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგრადობის შესახებ დასკვნაში მითითებული რეკომენდაციები 2025 წლის 2 სექტემბრის ჩათვლით. რჩევა: გაითვალისწინეთ სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N182 22/04/2024 ით გათვალისწინებული მოთხოვნები.

ინდიკატორი 3.4.1.1 მეტწილად დაკმაყოფილებულია

2.სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას. კერძოდ, სკოლას ჰყავს ექთანი, შენობაში განთავსებულია სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი . სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტები ინახება დაცულ კარადაში შესაბამის პირობებში. სამედიცინო კაბინეტში,სამედიცინო ტახტი **ხელოვნური ბარიერის** (შირმა) საშუალებით არ არის გამოყოფილი.სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა მტკიცებულებებით.ხარვეზი გამოსწორებულია.

ინდიკატორი3.4.1.2 დაკმაყოფილებულია

3. სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი,რომელიც განსაზღვრულია დირექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით. სკოლას არ **ჰყავს მანდატური**.სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება სკოლის ტერიტორიაზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები. სკოლას შემუშავებული აქვს მორიგეობის განრიგი, რომელიც გაკრულია სკოლის დერეფანში (ორივე სართულზე).სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობის დაცვით შექმნილი უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო. სკოლა მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აწვდის სსიპ -„112“ -ის ცხელი ხაზის ნომრის და აღნიშნული უწყების ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციას. აღნიშნული გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე.

ინდიკატორი 3.4.1.3.დაკმაყოფილებულია

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას. სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი, თუმცა საჭიროების შემთხვევაში სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს მოსწავლის ფსიქოლოგიით მომსახურებას შესაბამის სამსახურთან გადამისამართებით. სასკოლო კურიკულუმი და არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები სკოლაში ქმნის ფსიქო-ემოციურად უსაფრთხო გარემოს. სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი კლასის საათის თემები ითვალისწინებს მოსწავლეებში ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე ზრუნვას.

ინდიკატორი 3.4.1.4. დაკმაყოფილებულია

5.სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში დასაქმებულია 4 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სანიტარული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე სივრცე. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმი და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება იზოლირებულად სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ ჩაკეტილ სივრცეში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი.

ინდიკატორი 3.4.1.5 დაკმაყოფილებულია

6. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. ამიტომ ჩამოყალიბებული აქვს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგია, მონაცემთა დაცვის ძირითადი პრინციპები და მონიტორინგის მექანიზმები.სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. სკოლამ წარმოადგინა მასწავლებლების და მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობები პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე.სადაც მეორე მხარე აცხადებს თანხმობას,რომ მისი პერსონალური მონაცემები სკოლის მიერ დამუშავდეს და გამოყენებულ იქნას საჭიროებისამებრ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში. ხელმოწერით აცხადებს თანხმობას სასკოლო აქტივობისას განახორციელოს მისი ფოტო-ვიდეო გადაღება, აუდიო ჩაწერა, ამ გზით მოპოვებული ინფორმაცია დაამუშაოს და გამოიყენოს საჭიროებისამებრ.

ინდიკატორი 3.4.1.6 დაკმაყოფილებულია

7.საქმისმწარმოებლის განმარტებით, სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია. სკოლის მიერ შემუშავებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი განსაზღვრავს სკოლის ვალდებულებას უზრუნველყოს არსებული მონაცემების დაცვა შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან. თუმცა, სკოლამ მიიღო რჩევა, რომ აღნიშნულ დოკუმენტში მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში სწრაფი რეაგირების პროცედურები.

მოსწავლეთა პირადი საქმეები ინახება იზოლირებულ სივრცეში კარადებში, რომლებიც იკეტება. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა ასევე, რომ მოსწავლის გამოსახულებით ფოტო/ვიდეო მასალას სკოლა არ ასაჯაროებს მოსწავლისა და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმების გარეშე. კონფერენციების პრეზენტაციებში გამოყენებულ და სოციალურ ქსელში განთავსებულ ფოტო/ვიდეო მასალაზე სკოლას შემუშავებული აქვს მშობლების წერილობითი ნებართვის ფორმა, რომელზეც მშობელი პირობების გაცნობის შედეგად ხელის მოწერით ადასტურებს თანხმობას.

ინდიკატორი 3.4.1.7.დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებლის თანხმობები პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე;
- მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობები პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- დამრიგებლის პორტფოლიო;
- სკოლის სოციალური ქსელი;
- სკოლის ვებ-გვერდი;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საჯარო რეესტრის ამონაწერით, სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლა ფუნქციონირებს, ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრაში მდებარე ორსართულიან შენობაში. სკოლის შენობა, შესაბამისი მიწის ფართობით სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცა უვადოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით. ორსართულიანი N1 შენობა-ნაგებობების ფართობი 704 კვ.მ., ობიექტი N2 (ძველი სკოლის შენობა) განაშენიანების ფართობი 403 კვ.მ., ობიექტი N3 (საქვაბე) განაშენიანების ფართობი 60 კვ.მ., ობიექტი N4 (საპირფარეშო) განაშენიანების ფართობი 30 კვ.მ., ობიექტი N5 (საკუჭნაო) განაშენიანების ფართობი 54 კვ.მ., მიწის დაზუსტებული ფართობი 11879.00 კვ.მ. სკოლაში სულ 12 საკლასო ოთახია. სასწავლო პროცესი ერთ ცვლაში მიმდინარეობს. ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 49 მოსწავლე. გარდა საკლასო ოთახებისა, სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც მწირ რესურსებს მოიცავს. სპორტული დარბაზი, ეზოში ღია მოედანი, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, ექიმის კაბინეტი, ადმინისტრაციის ოთახები, ბიჭების/გოგონების და პერსონალისთვის განკუთვნილი სველი წერტილები. სკოლას აქვს ეზო, სადაც შესაძლებელია მოსწავლეთა შეკრება და სხვადასხვა სახის აქტივობების გამართვა.

საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი მერხებით, სკამებით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით და დაფებით. ადმინისტრაციის ყველა წევრს აქვს სამუშაო ოთახი აღჭურვილი საჭირო ინვენტარით, მათ შორის კომპიუტერული ტექნიკით. სკოლა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ღია სპორტული მოედანი არ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.

რჩევა: სკოლამ უზრუნველყოს ღია სპორტული მოედნის აღჭურვა ფეხბურთის კარის ბადეებითა და ფრენბურთის ბადეებით.

ინდიკატორი 3.5.1.1. დაკმაყოფილებული

2. სკოლას აქვს 12 საკლასო ოთახი, დახურული სპორტული დარბაზი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც არ არის აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარითა და რესურსებით. სკოლა საგაკვეთილო პროცესის შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საბუნებისმეტყველო საგნებში იყენებს ვირტუალურ ლაბორატორიას. ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი, დირექტორის მოადგილის ოთახი, ბიჭების/გოგონების, პერსონალისთვის განკუთვნილი სველი წერტილები, საქმისმწარმოებლის ოთახი. სკოლაში არის საერთო სარგებლობის სივრცეები: კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო კაბინეტი, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა და სამასწავლებლო. სკოლის ფოიე, დერეფნები და ეზო იძლევა საშუალებას სხვადასხვა აქტივობის ჩასატარებლად და სრულფასოვანი დასვენებისთვის.

ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებულია

3. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, შემუშავებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. გაწერილია ბიბლიოთეკის სამუშაო საათები (რაც ხელს უწყობს არაფორმალური განათლების განხორციელებას). ბიბლიოთეკაში არის მხატვრული ლიტერატურა და გრიფირებული სახელმძღვანელოები. ბიბლიოთეკაში ასევე არის მასწავლებლის წიგნები და მეთოდური სახელმძღვანელოები. მასწავლებლებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ პერიოდიკით - „მასწავლებელი“, „ახალი განათლება“. ბიბლიოთეკაში სკოლის წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. სკოლას არ აქვს შექმნილია ელექტრონული კატალოგი. განთავსებულია ინტერნეტ ქსელში ჩართული კომპიუტერი. ბიბლიოთეკაში ინახებოდა მკითხველთა ფორმულარები. სკოლას აქვს სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვა). ერთ სივრცეშია მოთავსებული წიგნსაცავი და საკმაოდ პატარა სამკითხველო სივრცე, რაც სასურველია იყოს გამიჯნული. ამიტომ დაწესებულებამ ექსპერტთა მიერ მიიღო რჩევა სამკითხველო სივრცის გაუმჯობესების/გაფართოების თაობაზე.

რჩევა: 1. სასურველია ეს სივრცეები იყოს გამიჯნული ან მოიძებნოს ალტერნატიული სივრცე, სადაც შესაძლებელი იქნება სამკითხველო სივრცის მოწყობა. 2. შეიქმნას ელექტრონული კატალოგი.

ინდიკატორი 3.5.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ინფრასტრუქტურა არ ქმნის სრულად ინკლუზიურ გარემოს. კერძოდ: შენობაში არის ადაპტირებული სველი წერტილი თუმცა არ არის რესურსოთახი, ხოლო საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და კომპიუტერული ლაბორატორია განთავსებულია მეორე სართულზე. მეორე სართულზე ასასვლელად პანდუსები არ არის გათვალისწინებული. სკოლის წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ამჟამად სკოლაში არ ჰყავთ ეტლით მოსარგებლე მოსწავლე და ასეთის არსებობის შემთხვევაში, მოხდება პირველ სართულზე იმ კლასის განთავსება, რომელშიც იქნება ასეთი მოსწავლე, რითაც სკოლა ეცდება უზრუნველყოფს

ინკლუზიური გარემო.რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს შენობის ადაპტირება. კერძოდ:პანდუსის მოწყობა კიბის უჯრედებში.ფართის გამოყოფა და რესურსოთახის მოწყობა 2024 წლის 24 ივლისიდან 2025 წლის 25 ივლისის ჩათვლით.

ინდიკატორი 3.5.1.4 მეტწილად შეესაბამება

5.შენობის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. სკოლის ეზო, შესასვლელი ფოიე, სპორტული დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია, თავისუფალი იდეებისთვის, ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები.

ინდიკატორი 3.5.1.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (N 882010771531)
- შენობის შიდა აზომვითი ნახაზი;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ბიბლიოთეკით და ლაბორატორიით სარგებლობის წესები;
- ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი;
- ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი;
- ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა „სკოლის ციფრული განვითარების გეგმა“. აღნიშნული გეგმის თანახმად, სკოლას ჰქონდა 19 სამაგიდო კომპიუტერი, 10 პერსონალური კომპიუტერი, 6 პრინტერი, 3 პროექტორი. სკოლაში საზიარო სამუშაო სივრცეს წარმოადგენს კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა. მასწავლებლებისთვის საზიარო სამასწავლებლოც. საკლასო ოთახების არ არის აღჭურვილი კომპიუტერებით, თუმცა, მასწავლებლებს საშუალება აქვთ ისარგებლონ სკოლის პერსონალური ლეპტოპით. სკოლაში განთავსებული ტექნიკა ხელს უწყობს სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმის (office 365, Teams, Forms, OneDrive, Gmail, Messenger, Facebook, ელექტრონული ჟურნალი) მიზნობრივი გამოყენების უნარის განვითარებას. სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, რომელიც საშუალებას აძლევს მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ჰქონდეთ ინფორმაცია მოსწავლეების გაცდენა/დასწრების, ნიშნების, კომენტარების, დავალებების, საბოლოო საშუალო ქულების, რეიტინგების, ნიშნების ფურცლისა და სხვა ტიპის რეპორტების შესახებ. სკოლას აქვს სოციალური ქსელი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველასთვის. ადმინისტრაციას ცალკე საზიარო სამუშაო სივრცე არ სჭირდება, რადგან ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკით.

ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია

2. წარმოდგენილი კურიკულუმებისა და სკოლის ციფრული განვითარების გეგმის თანახმად ჩანს, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში საკმაოდ ხშირად იყენებენ ციფრულ რესურსებს. დაწესებულებას აქვს „მატერიალური რესურსების განკარგვის წესი“. სკოლის ბუღალტერი პასუხისმგებელია ლეპტოპების აღრიცხვა-შენახვაზე. ის აღრიცხავს არსებულ ტექნიკას, ასევე ავსებს გატანა-შემოტანის აღრიცხვის ჟურნალს. აღნიშნულ ლეპტოპებს აქტიურად იყენებენ მოსწავლეებიც. სკოლაში მოსწავლეებისა და პერსონალის მხრივ გამოიყენება პროექტორები - პრეზენტაციის, ფილმებისა და სლაიდშოუს ჩვენებისას. ტექნიკაზე პასუხისმგებელია მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი.

ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სოციალური ქსელი;
- კურიკულუმები;
- მატერიალური რესურსების განკარგვის წესი;
- 2024-2025 სასწავლო წლის ციფრული განვითარების გეგმა;
- კომპიუტერების და ლეპტოპების მიღება-ჩაბარებები;
- ინვენტარიზაციის უწყისი
- სკოლის ვებ-გვერდი
- Wi-fi ს მიღება-ჩაბარება N10 01 სექტემბერი 2022 წელი

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით და ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი, რომლის მოვალეობები რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით და სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციებით.

რჩევა:საქმისწარმოების წესის შესაბამისად დაინომროს ყველა ხელშეკრულება.შექმნას ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი.

ინდიკატორი 3.6.2.1. დაკმაყოფილებულია.

2.სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას eflow-ს. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანების ფორმა შეესაბამება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავის 52-ე მუხლს. სკოლას აქვს სარეგისტრაციო ჟურნალები: საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი და შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი. ჟურნალები დანომრილი, აკინძული, ბეჭედდასმული და ხელმოწერილია უფლებამოსილი პირის მიერ. საქმისმწარმოებელი პასუხისმგებელია თანამშრომელთა პირადი საქმეების მოწესრიგებაზე, აკონტროლებს მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოებას, პასუხისმგებელია დირექტორის ბრძანებების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობაზე.

ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებულია

3.ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში(e-School.emis.ge), სრულად არის ასახული თანამშრომელთა, მშობელთა და მოსწავლეთა მონაცემები. ასახულია მოსწავლეთა მობილობა/სტატუსის ცვლილება.

ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებულია.

4.სკოლის საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. ვადების და პროცედურების დაცვით ხდება ანგარიშების წარდგენა შესაბამის სტრუქტურებთან.

ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების ერთიანი წესი;
- სკოლის მიერ შედგენილი და დამტკიცებული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები;
- საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება;
- სარეგისტრაციო ჟურნალები;

- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრალობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ვებგვერდი. კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დაცვით მარეგულირებელი დოკუმენტაციების, სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შემდეგ, გეგმავენ ახალი სასწავლო წლისთვის ყველა საჭირო ინფორმაციის ატვირთვას, რაც სტანდარტით არის გათვალისწინებული. სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალების გასავრცელებლად სკოლა საკმაოდ აქტიურად იყენებდა სოციალურ ქსელს, სოციალურ ქსელში შექმნილია სხვადასხვა დახურული ჯგუფები, რომლის საშუალებით ჯგუფის წევრებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია. სკოლას აქვს სოციალური ქსელი. სკოლის ფოიეში, სამასწავლებლოში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც მუდმივად ხდება სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე სიახლეების გამოქვეყნება. გარდა ამისა, როგორც სკოლის წარმომადგენლებმა ინტერნეტს დროს განაცხადეს, პედაგოგებს მუდმივი კომუნიკაცია აქვთ მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან და აწვდიან მათ ყველა საჭირო ინფორმაციას მოსწავლის აკადემიური მოსწრების, დისციპლინისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ, როგორც ამას მშობელთან

ურთიერთობის დებულება ითვალისწინებს. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტაციაში ვხვდებით საზოგადოებასთან ურთიერთობის ცალკეულ მექანიზმებს, დაწესებულებამ ექსპერტთა მიერ მიიღო

რჩევა, შექმნას ერთიანი დოკუმენტი, რომელიც დაარეგულირებს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესს.

ინდიკატორი 3.6.3.1 დაკმაყოფილებულია.

2.სკოლას აქვს როგორც სამართლებრივი, ისე მორალური ვალდებულება გაავრცელოს მხოლოდ და მხოლოდ გადამოწმებული, სანდო და უტყუარი ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ; შესაბამისად, ყველა ინფორმაცია, რაც მიეწოდება მოსწავლეთა მშობლებს, ქვეყნდება საინფორმაციო დაფაზე ან/და სოციალური ქსელის ოფიციალურ კედელზე, შეთანხმებული, შეჯერებული და ნებადართულია სკოლის ადმინისტრაციის მიერ.

ინდიკატორი 3.6.3.2 დაკმაყოფილებულია

3.საზოგადოებასთან კომუნიკაციის და საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შექმნილია გამოკითხვის ელექტრონული ფორმა, რომელიც ანონიმურია და მიღებულ უკუკავშირზე დაყრდნობით ამოწმებს რამდენად ხარისხიანად მიმდინარეობს სწავლა-სწავლების პროცესი. დაწესებულია მშობელთა ვიზიტის დღე. მოსწავლეებს, მშობლებს, ადგილობრივ თემს შესაძლებლობა აქვს სკოლის განვითარებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების შესახებ ინიციატივები მიაწოდოს ხელმძღვანელობას. ინიციატივებს განიხილავს სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა სკოლის დირექციასთან ერთად.

ინდიკატორი 3.6.3.3. დაკმაყოფილებულია.

4.სკოლას აქვს ვებ გვერდი. ფეისბუქ გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე.

ინდიკატორი 3.6.3.4. დაკმაყოფილებულია

5.სკოლას აქვს ვებგვერდი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას სკოლის მისიის, სამოქმედო გეგმის, სტრუქტურის და მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების შესახებ. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში. სკოლის ვებგვერდი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 3.6.3.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ-გვერდი;

- სკოლის სოციალური ქსელი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის თანხებს განკარგავს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ძირითადად იხარჯება შრომის ანაზღაურებაზე და კომუნალურ გადასახადებზე. სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია საოფისე ხარჯები და მცირე სარემონტო სამუშაოების ჩატარების ხარჯები. სკოლის ფინანსური რესურსის ძირითადი ნაწილი, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ N476 დადგენილების მიხედვით, უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, რომლის მოცულობა განისაზღვრება სკოლის მოსწავლეთა რაოდენობით. გარდა ამისა, სამინისტრო უზრუნველყოფს სკოლის ექთნის ხელფასის პროგრამულ დაფინანსებას. ამჟამად არსებული მდგომარეობით, სკოლას არ აქვს საკმარისი ფინანსური რესურსი

დადგენილი წესის მიხედვით შეუფერხებლად წარმართოს სასწავლო პროცესი და უზრუნველყოს აუცილებელი ფინანსური ხარჯები. აქედან გამომდინარე, სკოლა ზამთრის პერიოდში ითხოვს დამატებით ფინანსურ რესურსს განათლების, მეცნიერების, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროსაგან კომუნალური ხარჯების დაფარვის მიზნით.

ინდიკატორი 3.7.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხორციელდება კანონის შესაბამისად. სკოლის დირექტორმა სამეურვეო საბჭოს წარუდგინა 2024 წლის სკოლის ბიუჯეტის პროექტი. ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს როგორც სავარაუდო შემოსავლებს, ასევე სკოლის საჭიროებისთვის განსაზღვრულ ხარჯებს.

ინდიკატორი 3.7.1.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საპროგნოზო ბიუჯეტი;
- დაფინანსების დინამიკა;
- წლიური ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის ხიზაბავრას საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი და სკოლაში ვიზიტის დროს შესწავლილი მასალების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიის უზრუნველყოფა. სკოლაში დაცულია დემოკრატიულობის ხარისხი. სკოლას ყავს, სკოლის თვითმართველობა, რომელიც არჩეულია კანონის შესაბამისად ფარული კენჭისყრით. არჩეულია სკოლის თვითმართველობის თავჯდომარე საშუალო საფეხურზე. სკოლას ყავს დისციპლინური კომიტეტი, რომელშიც არჩეულია სკოლის თვითმართველობის წევრი, ასევე სკოლის სამეურვეო საჭკოს შემადგენლობაში შედის მოსწავლეთა თვითმართველობის წარმომადგენელი.

სკოლის თვითმართველობა აქტიურად არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში, სკოლის შინაგანაწესი და დებულება შედგენილია მოსწავლეთა თვითმართველობის თანამონაწილეობით, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების და ვალდებულებების დაცვას.

სკოლის შინაგანაწესი და დებულება მოსწავლეთა უფლებების და ვალდებულებების შესახებ ეფუძნება ბავშვთა უფლებების კონვენციას, ბავშვთა უფლებების კოდექსს და ზოგადი განათლების შესახებ კანონს, რადგან ისარგებლოს ყველა იმ უფლებებით, რომელიც ამ კანონებითაა განპირობებული. შინაგანაწესის მიხედვით, სკოლა იცავს და იღებს პასუხისმგებლობას იზრუნოს ყველა ბავშვზე.

თვითმართველობის დებულებაში განსაზღვრულია თვითმმართველობის მიზნები და ამოცანები, დაფინანსების წყაროები, თვითმმართველობის თავჯდომრის არჩევის წესი, თავჯდომრის ფუნქციები, თვითმმართველობის წევრის და თავჯდომრის უფლებამოსილების შეწყვეტის წესი, თვითმართველობის მუშაობის წესი, ძირითადი ფუნქციების და

დებულების დამტკიცება და ცვლილებების შეტანა. დებულების მიხედვით თვითმართველობის ძირითადი ამოცანაა ხელი შეუწყოს სკოლის ფუნქციონირებასა და მმართველობით საკითხებში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას.

მოსწავლეთა უფლებების აღიარება გამოიხატება იმითაც, რომ თვითმართველობის ინიციატივით და სკოლის მხარდაჭერით სკოლაში სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები და ღონისძიებები.

თვითმართველობის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები მხარდაჭერილია სკოლის დირექციის მიერ. მოსწავლეთა უფლებების აღიარება და მხარდაჭერა გამოიხატა იმაშიც, რომ ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა საშუალო საფეხურის თვითმართველობის მიერ შექმნილი წლიური ანგარიში, სადაც განსაზღვრული აქვს სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობები, სკოლის თვითმართველობა წლიურ ანგარიშში აღნიშნავს დირექციისა და სკოლის მასწავლებლების პოზიტიურ დამოკუდებულებას და მხარდაჭერას.

სკოლაში დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმები“, „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“, „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები“. სკოლაში აღნიშნული შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა.

სკოლას აქვს დოკუმენტი „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. ამ დოკუმენტის და შინაგანაწესის მიხედვით სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები, ასევე მათი მშობლები როგორც სასკოლო საზოგადოების წევრები, სარგებლობენ უფლებებით, რომელიც გარანტირებული აქვთ საქართველოს კონსტიტუციით და კანონით „ზოგადი განათლების შესახებ“. მათ შორისაა გამოხატვის, რწმენის, შეკრების და აკადემიური თავისუფლება. ასევე პირადი საიდულებების უფლება, უფლება მიიღონ საჯარო ინფორმაცია, სასკოლო რესურსებზე წვდომის უფლება, სამართლიანი მოპყრობის უფლება. დოკუმენტით ასევე განსაზღვრულია დისციპლინის საკითხები, მათ შორის გასაჩივრების ეფექტური სისტემა. დისციპლინური დევნისას ისარგებლოს დუმილის უფლებით. სკოლას ჰყავს ექთანი, რომელიც სასკოლო საზოგადოებისთვის ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფუნქციის განმხორციელებელია. სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა მშობელთა კრების ოქმი, საიდანაც ჩანს, რომ მსობელთა უფლება მეორე უცხოური ენის ერჩევასთან დაკავშირებით, განხორციელებულია - კრებაზე მშობლებმა მე-5 კლასში სასწავლად აირჩიეს გერმანული ენა.

ინდიკატორი 4.1.1.1 დაკმაყოფილებულია

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან



სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრას საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი კანონმდებლობით გათვალისწინებული, მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლას განთავსებული აქვს ვებ გვერდზე, საინფორმაციო დაფაზე სკოლის შინაგანაწესი, სკოლის ფილოსოფია, მოსწავლეთა ქცევის კოდექსი, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. ვებ გვერდზეა განთავსებული და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის სასკოლო სასწავლო გეგმა, სამოქმედო გეგმა, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, შინაგანაწესი, „თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის წესი“, „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი“, „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“, „მოსწავლის ადაპტაციის წესი“, „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ და სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა. ცხელი ხაზის ტელეფონის ნომრები და სხვადასხვა შიდა რეგულაციები სკოლაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლის დამრიგებლის ვალდებულებებში განსაზღვრულია, რომ დამრიგებელი სასკოლო საზოგადოებისთვის საინფორმაციო დაფისა და მშობელთა კრებების საშუალებით ახდენს მოსწავლეთა უფლებების დაცვის რეგულაციების გაზიარებას, დამრიგებლის ანგარიშის მიხედვით დამრიგებელი ატარებს კლას-საათებს მოსწავლის უფლება მოვალეობებზე ცნობიერების ასამაღლებლად, იწვევს მშობელთა კრებებს სადაც ახდენს მშობელთა ინფორმირებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გათვალისწინებულია მოსწავლის მშობლის კანონიერი წარმომადგენლის ხელშეკრულებებშიც. შესაბამისად მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის.

ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრას საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში აქვს მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულებები. ხელშეკრულებებში განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი, სკოლის საქმიანობა, მხარეთა უფლება მოვალეობები, შინაგანაწესის გაცნობა და მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები. ასევე სკოლას წარმოდგენილი აქვს ხელშეკრულებები მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, სახელმძღვანელოების და დამხმარე ლიტერატურის უსასყიდლოდ აუქციონის გარეშე დროებით სარგებლობის



გადაცემის შესახებ, რომელშიც განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, დავები და მათი გადაწყვეტის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ცვლილებების შეტანა, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები, მიღება ჩაბარების აქტი და სახელმძღვანელოს მოვლა-პატრონობის შეფასების კრიტერიუმები.

ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“;
- სკოლის შინაგანაწესი;
- მოსწავლის მშობელთან, მის კანონიერ წარმომადგენელთან დადებული ხელშეკრულებები.
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- თვითმმართველობის დებულება;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- დისციპლინურის ოქმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა,
- სამოქმედო გეგმა;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“;
- მოსწავლის ადაპტაციის წესი;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები

სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრას საჯარო სკოლას წარმოდგენილ დოკუმენტებში- შინაგანაწესა და „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესში“, განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები. დოკუმენტები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის შესაბამისად. მობილობა - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანებით, საფეხურის დაძლევა - ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანების შესაბამისად.

სკოლაში მოსწავლე ირიცხება მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე, რომელიც განთავსდება საინფორმაციო სისტემის მართვის ელექტრონულ გვერდზე და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოხდება რეაგირება დირექტორის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტით. სკოლის შინაგანაწესში განსაზღვრულია, როგორ და რა

დოკუმენტების საფუძველზე ხდება სკოლაში პირველ კლასში ჩარიცხვა, ასევე განსაზღვრულია რა დოკუმენტების საფუძველზე ხდება მოსწავლის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სკოლაში გადმოსვლა, მობილობის დროს მოსწავლის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის განაცხადის საფუძველზე გამოითხოვება პირადი საქმე, რომლის მიღების შემდეგ სკოლა გამოსცემს ბრძანებას მოსწავლის ჩარიცხვის ან ამორიცხვის შესახებ. სკოლაში ჩარიცხული ყველა მოსწავლეზე იხსნება პირადი საქმე, რომელშიც განათავსებულია შინაგანაწესში განსაზღვრული დოკუმენტები. საფეხური ითვლება დაძლეულად პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებისა და შესაბამისი ბრძანების საფუძველზე. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა ბრძანებები მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების შესახებ. ასევე სკოლამ წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს ოქმები საფეხურის დაძლევის შესახებ.

მოსწავლის სტატუსის შეჩერება ხდება მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების, გაცდენების ან კლასის დამრიგებლის სამსახურეობრივი ბარათის წარმოდგენის საფუძველზე სკოლის მიერ გამოცემული ბრძანებით. ვინაიდან ზემოთ აღნიშნული საკითხები განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესში, რომლებიც შედგენილია მოსწავლეთა თვითმმართველობის თანამონაწილეობით, ასევე დამრიგებლები შინაგანაწესში განსაზღვრულ საკითხებს მშობლებს, მშობელთა კრებებზე აცნობენ და განთავსებულია სკოლის სტენდზე, შესაბამისად აღნიშნული საკითხები გამჭვირვალეა სკოლის საზოგადოებისთვის.

ინდიკატორი 4.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრას საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების ბრძანებები, პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი) მიხედვით სკოლა იცავს ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის მექანიზმებს. ექსპერტთა ვიზიტის დროს შემოწმდა სკოლის ბაზა, სკოლას კანონის შესაბამისად აქვს დაცული აღნიშნული დოკუმენტების მოძრაობა.

ინდიკატორი 4.1.2.2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრას საჯარო სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების, სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. სამიზნე ჯგუფისთვის ინფორმაციის მიწოდებას ახორციელებს სკოლის კანცელარია:

- ინფორმაცია ქვეყნდება ვებ გვერდზე, სკოლის სოციალურ გვერდზე
- გამოიკვრება სკოლის ფოიეში.

სკოლას აქვს აქტიური ვებ გვერდი, სოციალური გვერდი, სადაც განთავსდება სხვადასხვა ინფორმაცია სკოლაში და ზოგადად, საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე პროცესებისა და ცვლილებების შესახებ.

ინდიკატორი 4.1.2.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრას საჯარო სკოლა ინფორმაციას ავრცელებს ვებ გვერდის ან/და სოციალური ქსელის ან/და სკოლის საინფორმაციო დაფის, ან/და პერსონალის მეშვეობით. გავრცელებული ინფორმაცია არ არღვევს კანონმდებლობას, არ არის დისკრიმინაციული, გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია ყველასთვის. ინფორმაცია არის განახლებადი.

კლასის დამრიგებლები მოსწავლეთა პირად ინფორმაციას აკადემიურ მოსწრებისა და ქცევის შესახებ, მშობლებს აცნობენ, ინდივიდუალურად, როგორც პირისპირ ისე საჭირიროების შემთხვევაში თიშის პლატფორმით. ელექტრონულ ჟურნალში დაცულია მოსწავლის პერსონალური ინფორმაცია. სოციალურ ქსელში მოსწავლეთა ფოტო/ვიდეო მასალის განთავსება ხდება, სკოლის ინფორმაციით, მშობელთა სიტყვიერი თანხმობის საფუძველზე. აღსანიშნავია ისიც, რომ გარკვეული პროგრამები, მაგალითად დამატებითი არჩევითი საგანი მეათე კლასში და მეორე უცხო ენის არჩევა მეხუთე კლასში, რომელსაც სთავაზობს სკოლა მოსწავლეს შეთანხმებულია მშობლებთან, მშობელთა კრებებზე, მშობლები თანხმობას აღნიშნულ საკითხზე ხელმოწერით ადასტურებენ ოქმში.

ინდიკატორი 4.1.2.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):



კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დირექტორის ბრძანება მოსწავლის ამორიცხვის შესახებ
- დირექტორის ბრძანება საბაზო საფეხურის დამლევის შესახებ;
- დირექტორის ბრძანება კლასიდან კლასში გადაყვანის შესახებ
- დირექტორის ბრძანება საბაზო საფეხურის დამლევის შესახებ
- დირექტორის ბრძანებამოსწავლის ჩარიცხვის შესახებ
- ხელშეკრულების ნიმუში მშობელთან;
- მშობელთა კრების ოქმი ენის არჩევაზე;
- შინაგანაწესი;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი

სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრას საჯარო სკოლის მიერ მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის მექანიზმები ძირითადად განსაზღვრულია შინაგანაწესში და სკოლის მიერ შექმნილ დოკუმენტში „მოსწავლის ადაპტაციის წესი“, ასევე თითოეულ დამრიგებლის ფუნქცია მოვალეობებში განსაზღვრულია სკოლაში მოსწავლის ადაპტაციისას განსახორციელებელი მექანიზმები. ადაპტაციის წესისა და კლასის დამრიგებლის ფუნქციების მიხედვით მოსწავლეს გარემოსთან ადაპტაციას კლასის დამრიგებელი ახდენს. ასევე დამრიგებელს ევალება კლას საათების ჩატარება ამ მიმართულებით. პირველ კლასელთა ბიბლიოთეკის სივრცის გაცნობა განსაზღვრულია ბიბლიოთეკის გეგმაში, რომელიც სკოლის დირექტორის ბეჭდით არის დამოწმებული, ბიბლიოთეკის სივრცის გაცნობაზე პასუხისმგებელი პირები არიან დამრიგებელი და ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი.

ინდიკატორი 4.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრას საჯარო სკოლას აქვს ტრადიცია სწავლის დასაწყისში პირველკლასეთათვის მიღების დღის გამართვის, სადაც მშობლებს ხვდებიან დირექციის წარმომადგენლები და მომავალი მასწავლებლები (სკოლას 2023-2024 სასწავლო წელს არ ჰყავდა პირველი კლასი). სკოლის სივრცის გაცნობაზე პასუხისმგებელი პირები არიან დამრიგებლები. აღსანიშნავია, რომ სკოლაში შექმნილია შესაბამისი პირობა, რათა მოსწავლემ სწავლის დაწყებისას მარტივად შეძლოს ადაპტაცია სასწავლო გარემოსთან. სკოლის ფიზიკური გარემო, კერძოდ, ნათელი და კეთილმოწყობილი საკლასო ოთახები, აღჭურვილი შესაბამისი თვალსაჩინოებებით, რესურსებითა და ადაპტირებული საპირფარეშოებით, ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

სკოლას არა აქვს სრული ადაპტირება. არ არის პანდუსები შემოსასვლელებსა და სართულებს შორის. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა უზრუნველყოფს ბაღის აღსაზრდელათა ჩართულობას სასკოლო ღონისძიებებში, რომ შემდეგ პირველ კლასელს გაუმარტივდეს სკოლასთან ადაპტაცია.

სკოლის დირექციასა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით სკოლა აძლევს მკაფიო და გასაგებ უკუკავშირს ზეპირსიტყვიერად, წერილობით, დამატებითი მომსახურებით, სასკოლო ღონისძიებებში ჩართვით, მშობლებთან ინფორმირებულობითა და თანამშრომლობით. მოსწავლეებს, მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აქვთ წვდომა ელექტრონულ ჟურნალთან. დამრიგებელი წერილობითი ფორმით ან სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით ატყობინებს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მოსწავლის მიღწევების შესახებ. მოსწავლეებს ენიშნებათ საშემოდგომო და სხვა ტიპის გამოცდების წინ საკონკულტაციო საათები. მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, სასკოლო ცხოვრებაში განსაკუთრებულად ჩართულ მოსწავლეებს სკოლა გადასცემს სიგელს. მოსწავლეები იყენებენ სკოლის ბაზაზე არსებულ სასწავლო რესურსებს. რესურსები ასევე შექმნილია მოსწავლეთა მონაწილეობით.

ინდიკატორი 4.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრას საჯარო სკოლა მოსწავლის მიღწევების გასაუმჯობესებელ კონსულტაციებსა და მხარდაჭერას არეგულირებს სასკოლო სასწავლო გეგმითა და და შინაგანაწესით, რომლის მიხედვით თითოეული საგნის მასწავლებელი და კლასის დამრიგებელი ზრუნავს მოსწავლის მიღწევების გაუმჯობესებაზე.

სკოლას დამრიგებლის მუშაობის ფუნქციებში განსაზღვრული აქვს მოსწავლის აკადემიური მოსწრების მხარდაჭერა და მშობლის ინფორმირების მექანიზმები. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია რომ მოსწავლეებს, რომლებსაც აქვთ ექსტერნის ან საშემოდგომო გამოცდა სკოლა გაუწევს სათანადო კონსულტაციებს. სემესტრული გამოცდის საშუალებით მოსწავლეს შეუძლია აიმაღლოს ქულა. მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერისათვის სკოლა აკეთებს შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზებს, რის შემდეგაც გამოვლენილ საჭიროებებზე განახორციელებს შესაბამის ინტერვენციებს/კონსულტაციებს, რაც დაეხმარება მოსწავლეს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში.

კათედრის ანგარიშეში მოცემულია, რომ კათედრის ყველა წევრი აქტიურად არის ჩართული სწავლა-სწავლების პროცესში, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს. კათედრის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, გეგმავენ შეხვედრებს, სადაც განიხილება სხვადასხვა საკითხები მოსწავლეთა საჭიროებების მიმართ. ასევე, კათედრაზე ინტენსიურად მიმდინარეობს ერთმანეთში გამოცდილების გაზიარება, რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიების და თანამედროვე მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით. განიხილავენ მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებების შედეგებს, რის საფუძველზე გეგმავენ სხვადასხვა აქტივობებს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, კერძოდ იგეგმება მოსწავლის შესაძლებლობებზე და შედეგების გაუმჯობესებაზე მორგებული პროექტები და კომპლექსური დავალებები, განმავითარებელი შეფასებები (დაზუსტება, წახალისება).

ინდიკატორი 4.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრას საჯარო სკოლის მიერ ადმინისტრაციული მხარდაჭერა მოსწავლის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით რეგულირდება სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი „მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესით“, „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესით“, „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესით“ და „სკოლის თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის წესით. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს უსაფრთხოების წესი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების წესი, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმი, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი. მოცემული დოკუმენტებით რეგულირდება მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები. სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია გაუწიოს შესაბამისი მხარდაჭერა მოსწავლეს საჭიროებისამებრ. სკოლაში მოსწავლეებს სკოლის ექსტერნის, ოლიმპიადების, სემესტრული გამოცდების, საშემდგომოს ჩატარების წინ უტარდებათ საკონსულტაციო და საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები. საჭიროების შემთხვევაში სკოლა სთავაზობს მოსწავლესა და მის მშობელს შინ სწავლების მომსახურებას, რომელიც გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმით. ადმინისტრაცია მოსწავლეებისთვის ქმნის ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს. მოსწავლეს ეძლევა თვითრეალიზების შესაძლებლობა. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია შინ სწავლების პროცედურები და სკოლის მხრიდან გასატარებელი ღონისძიებები. სკოლის განცხადებით, ადმინისტრაცია და არსებული ადამიანური რესურსი მუდმივად ღიაა მოსწავლეების საჭიროებების დასადგენად და შესაბამისი მხარდაჭერი ღონისძიებების განხორციელებისთვის. ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს მოსწავლეთა თვითთმართველობასთან. საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს სივრცეებს - კომპიუტერულ ლაბორატორიას, ბიბლიოთეკას, სპორტულ დარბაზს. მხარს უჭერს პროექტების შექმნისა და განხორციელების, კონკურსებსა და ოლიმპიადებში მონაწილეობის ინიციატივებს და შექმნილია კიდევ კლუბები.

ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრას საჯარო სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას, რომელიც დასტურდება ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი დოკუმენტით „მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესით“, განხორციელებული და დაგეგმილი მრავალფეროვანი არაფორმალური აქტივობებით: ექსკურსიებით, კონფერენციებით, პროექტებითა და ღონისძიებებით.

სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობა ფუნქციონირებს და აქტიურად არის ჩართული სასკოლო პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით განხორციელდა სხვადასხვა სასკოლო პროექტები, კონფერენციები და ღონისძიებები, რომლებშიც ჩართულია ყველა მოსწავლე კლასების და საფეხურების მიხედვით. დაწყებითების საფეხურის მოსწავლეების ჩართულობით განხორციელდა სასკოლო ღონისძიება „მობა-ახალი წელი“, გავუფრთხილდეთ დედამიწას დასხვ. საბაზო და საშუალო საფეხურზე სხვადასხვა კათედრამ განახორციელა ათეულობით სასწავლო და სოციალური პროექტი „ჯანსაღი ცხოვრების წესი“, „არა ძალადობას (ბულინგს)“, „არა ძალადობას“ და სხვა.

სკოლის თვითმმართველობა აქტიურად თანამშრომლობს სკოლის კურსდამთავრებულებთან, რომლებიც სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად არიან ჩართულები. სოციალურ ქსელში უხვად არის კლუბების მუშაობის ამსახველი მასალები.

ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრას საჯარო სკოლა ახდენს დაგეგმილი და განხორციელებული პროექტების, პროგრამების, ღონისძიებების ანალიზს, ისმენს მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების უკუკავშირს და ითვალისწინებს, რის საფუძველზეც ცვლის და აუმჯობესებს შესაბამის მომსახურებას.

სკოლაში ხშირად ხდება სასკოლო საზოგადოებისგან უკუკავშირების მიღება, როგორც ფორმალურ გარემოში, ისე არაფორმალურ გარემოში. ასეთი უკუკავშირი აღიწერა სტრატეგიული დაგეგმვის ინდიკატორებში, ასევე აქტივობა - მე-5 კლასში მეორე უცხოური ენის არჩევასთან დაკავშირებით, როცა მოსწავლის მშობელთა კრებაზე მიღებული უკუკავშირის საფუძველზე არჩეულ იქნა ენა, რომელსაც მოსწავლეები ისწავლიდნენ მეორე უცხოურ ენად. სემესტრების სადამრიგებლო ანგარიშებში საუბარია სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა აქტიური ჩართვის და მათგან მიღებული უკუკავშირების შესახებ.

ინდიკატორი 4.2.1.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სადამრიგებლო პროგრამები;

- თვითმმართველობის ოქმი;
- დამრიგებლის პირველი სემესტრის ანგარიშები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის

სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ზიზაბავრას საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მიმართულებით სკოლას არა ერთი აქტივობა აქვს განხორციელებული. პროფესიულ ორიენტაციისა და კარიერულ დაგეგმვას ახორციელებს არაფორმალურ აქტივობების გზით. მიმდინარე სასწავლო წელს დაგეგმილია სხვადასხვა პროფესიების მქონე ადამიანთა მოწვევა სკოლაში, მათთან გაიმართა დისკუსიები.

ინდიკატორი 4.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრას საჯარო სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, ხშირად აწვდიან მოსწავლეებს ინფორმაციას პროფესიაზე. ასევე ხშირად აწეობენ სხვადასხვა პროფესიულ თუ უმაღლეს სასწავლებლების წარმომადგენლებთან შეხვედრებს სკოლის მოსწავლეებთან. გარდა ამისა დამრიგებლები სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს აცნობენ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების შესახებ ინფორმაციებს. აღნიშნული აქტივობის საფუძველზეც მოსწავლეებს და მათ მშობლებს შეუძლიათ გაეცნონ სხვადასხვა სასწავლებლების შეთავაზებებს და გააკეთონ შესაბამისი არჩევანი.

ინდიკატორი 4.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრას საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ჩანს რომ სკოლას აქვს მზაობა გაითვალისწინოს, ნებისმიერი უკუკავშირი, დამდგარი შედეგები და შესაბამისად დაგეგმოს აქტივობები, შემდგომი სასწავლო წლებისათვის, რათა უფრო სრულყოფილი გახადოს პროფესიის არჩევის პროცესი. სკოლა ცდილობს განხორციელებული მომსახურების შესახებ მიიღოს უკუკავშირი მშობლებისგან და მოსწავლეებისგან. უკუკავშირების მიღება, როგორც სკოლის მასწავლებლებმა აღნიშნეს განხორციელდა სტრატეგიული დაგეგმვის დროს კვლევისას მიღებულ უკუკავშირებში, მშობელთა კრებების დროს უშუალო კომუნიკაციის დროს, ასევე არაფორმალურ შეხვედრების დროს.

ინდიკატორი 4.2.2.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამები.
- პროექტები
- ოქმები

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი

სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრას საჯარო სკოლის სკოლას, სასკოლო სასწავლო გეგმაში, განსაზღვრული აქვს ინკლუზიური სწავლების პრინციპები, რომლებიც შესაბამისია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვალის №16/ნ ბრძანების მოთხოვნების და რომელშიც განსაზღვრულია სსსმ მოსწავლედ აღიარების პრინციპები და ეტაპები, ინდგეგმის შემუშავების ვადები და ჩართული მხარეები და სხვა.

ინდიკატორი 4.2.3.1 დაკმაყოფილებულია

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრას საჯარო სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლეები, ამდენად მხოლოდ სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულ ინკლუზიურ განათლებაზე დაფუძნებით შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის წინსვლა განვითარებისთვის სასკოლო საზოგადოების ჩართულობა მისთვის ინდგეგმების შემუშავების პროცესში.

ინდიკატორი 4.2.3.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი

მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრას საჯარო სკოლის მიერ დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურებიდან მხოლოდ ტრანსპორტის მომსახურებას სთავაზობს მოსწავლეებს. სკოლა მონიტორინგს უწევს, რომ სატრანსპორტო საშუალებას გავლილი ჰქონდეს შესაბამისი ტექნიკური დათვალიერება.

ინდიკატორი 4.2.4.1 დაკმაყოფილებულია

